# დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

ობიექტის მშენებლობის სანებართვო მოწმობა №125

სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი: *09 ივლისი 2021 წელი*

მშენებლობის დაწყების თარიღი: *12 ივლისი 2021 წელი*

ნებართვა ძალაშია: *2021 წლის 10 დეკემბრამდე.*

დამკვეთი: *ა.ი.პ. „ახალი ალტერნატივა-საქართველო"-ს (ID ნომერი: 405427266) თავჯდომარე თამარ კურტანიძე (პ/ნ: 11001003653).*

მისამართი: *ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N35.*

მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: *ა.ი.პ. „ახალი ალტერნატივა-საქართველო" (ID ნომერი: 405427266).*

მშენებლობის ობიექტი: *ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.*

მიწის ნაკვეთის მისამართი: *ქ. დუშეთი, გ. მწითურის ქ. N45.*

მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი: 71.51.02.408

შენობის კლასი: II

პროექტი შეთანხმებულია და ნებართვა გაიცა: *დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ სამსახურის უფროსის 2021 წლის 08 ივლისის ბრძანება №1688/ს-ის საფუძველზე.*

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი

/იოსებ ღარიბაშვილი/

**მშენებლობის ეტაპები:**

1. კედლებზე ღიობების გადიდება;
2. პირველი სართულის ბეტონის იატაკის მოწყობა;
3. კარ-ფანჯრების მოწყობა;
4. კიბის ბაქნების და საფეხურების მოწყობა;
5. ელ. გაყვანილობის მოწყობა;
6. წყალკანალიზაციის მოწყობა;
7. ცენტრალური გათბობის მოწყობა;
8. კედლების ლესვა;
9. იატაკის მოჭიმვა;
10. ღობის მოწყობა;
11. შიდა სამღებრო-სამალიარო სამუშაოები;
12. იატაკების მოპირკეთება;
13. გარე ფასადის შეღებვა;
14. სახურავის რეაბილიტაცია;
15. ტერიტორიის კეთილმოწყობა.

**II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო პირობები:**

1. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
ა) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
ბ) აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;
ე) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობები“-ს შესაბამისად განსაზღვრულ შენობა–ნაგებობათა მშენებლობისას სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი;
ვ) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
ზ) ახალი მშენებლობისა და შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისათვის მომზადებული შენობა–ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ექსპლუატაციაში მიღებისათვის;
თ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობები“-ს 26-ე მუხლის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამშენებლო/სანებართვო პირობები;
ი) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობები“-ს გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა;
კ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება საქართველოს კანონით - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.